
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

08185188923526

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N260297467

რეგისტრაციის თარიღი

10.03.2026 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ოდილავაძე
მისამართი: თბილის ჟ. შარტავას ქ 14ა
ტელეფონი: 599514451

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაექვსი წლის ათ მარტს მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ.14 ა-ში მომმართა **შპს ჟამური (ს/ნ 404881678) დირექტორმა ზურაბ მილაძემ** . მან განაცხადა, რომ სურს **მინდობილობის** შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საშუალებით და დავრწმუნდი რომ, მე ნამდვილად: **შპს ჟამური (ს/ნ 404881678) დირექტორმა ზურაბ მილაძემ (დაბ.13.02.1963წ პ/ნ 24001001515)** მომმართა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია, შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები: მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან პირადად წაიკითხა ეს მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **შპს ჟამური (ს/ნ 404881678) დირექტორმა ზურაბ მილაძემ (დაბ.13.02.1963წ პ/ნ 24001001515)** „შემდგომში-მარწმუნებელი“ **გიორგი მესტვირიშვილი (დაბ.03.10.1999წ პ/ნ 01024084297)** „შემდგომში-რწმუნებული“მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

„რწმუნებული“ უფლებამოსილია, იყოს ჩემი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ქალაქ თბილისის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში. საკრებულოში/გამგეობაში, ლეგალიზებისა და აღიარების კომისიებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, (მათ შორის მოახდინოს შესწორების, ცვლილების რეგისტრაცია, ცვლილების რეგისტრაცია კოორდინატთა სისტემაში, განსაზღვროს უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი) კონფიგურაცია, გამიჯვნა/ გაყოფა/ გაერთიანება/სერვიტუტით დატვირთვა). ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, თანხმობა, წარმოადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია 2 (ორი) წლს ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

წინამდებარე მინდობილობა მარწმუნებელს წაუკითხა ნოტარიუსმა ქეთევან ოდილავაძემ, მარწმუნებელმა მოიწონა მინდობილობა და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 30.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის 507-ე დადგენილების 31-ე, **მუხლისა**, და დღგ. 5.4 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის N169-ე მუხლის პირველი ნაწილისა აგრეთვე გადახდილია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5 **ლარი,** თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის 507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი ----------

ნოტარიუსი ---------- ქ. ოდილავაძე